მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

5 მაისი, კვირა

1968

ფასი 2 კაპ.

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი • № 104 (14100)

კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავი



კარლ მარქსის პორტრეტი, რომელიც ვ. ი. ლენინს მიუძღვნა პეტროგრადის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭომ 1918 წელს. პორტრეტი ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტშია კრემლში. საკდესის ფოტოქრონიკა.

უკვდავია მარქსის მოძღვრება

ეთელმა მსოფლიომ დიდი ზეიმით აღნიშნა პირველი მაისის დღესასწაული. დედამიწის ხუთივე კონტინენტზე ქუხდა ჩვენი ეპოქის წამყვანი ძალა — საერთაშორისო პროლეტარიატი. თუ კი ამ ძალის წინაშე შიშით ძრწოდნენ უველა ქვეყნის კაპიტალისტები, სამაგიეროდ ბარობდნენ პროლეტარიატის მიერ ბრძოლით მოპოვებული მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების მშრომელები.

დიდი ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, 1 მაისის დღესასწაულმა ერთხელ კიდევ აჩვენა მსოფლიოს: „მარქსის მოძღვრება უძლეველია იმიტომ, რომ ის სწორია“.

და დღეს მთელი მსოფლიო ზეიმობს კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავს. კომუნისტები, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშრომელნი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ ამ შესანიშნავ თარიღს, დიდ პატივს სცემენ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელს, გენიალურ მოაზროვნეს, მეზღვაბარე რევოლუციონერს, მსოფლიო პროლეტარიატის მასწავლებელსა და ბელადს.

5 მაისს სიმპოზიუმად ერთდება ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: კ. მარქსის დაბადების თარიღი და კომუნისტური პრესის ზეიმი. კ. მარქსი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც კლასობრივ ბრძოლაში ჩაგრულთა მხარეზე აამოქმედა უველაზე შორსმსროელი არტილერია — გაზეთი. კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის პირველი რედაქტორი, რომელმაც გაზეთი სულიერი, პოლიტიკური და სოციალური ჩაგრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდ გადააქცია, იყო კარლ მარქსი. ვ. ი. ლენინმა „ახალ რაინის გაზეთს“ „რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო, უგანდლო ორგანო“ უწოდა.

დღეს კ. მარქსის სახელს მილიონთა შეგნება განუყოფელად უკავშირებს უველა ჩვენს მონაპოვარს, მუშათა კლასს, როგორც ექსპლოატატორული წყობილების მესაფლავისა და სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს. მარქსიზმი განვითარდა რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში და არა მარტო სამეცნიერო შეცნობის, არამედ მისი ძირეული გარდაქმნის ძლავრი იარაღი გახდა. ამ გარდაქმნის ეპოქას დასაბამი მისცა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ სწორია მარქსის მეცნიერული განკვრეტა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრიობის გადასვლის აუცილებლობის შესახებ. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სსრ კავშირში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უდიდესი ტრიუმფი იყო, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ამ მოძღვრების გავლენა ხალხთა მასების გონებასა და გულზე.

მარქსის მოძღვრების სიდიადე სწორედ იმაშია, რომ იგი სულ უფრო ეუფლება მასებს და ხდება პრაქტიკული ძალა. იგი ხალხთა მასების მოქმედების სახელმძღვანელოა. როგორც თვით ცხოვრება, ისევე ეს თეორიაც ერთ ადგილას როდი დგას, არამედ ვითარდება. ბეშმარიტი მარქსიზმი ყოველთვის ცოცხალი, შემოქმედებითია. ამიტომაც ამბობდა ვ. ი. ლენინი: „ჩვენ სრულებით არ ვუუურებთ მარქსის თეორიას როგორც რაღაც დამთავრებულს და ხელუხლებელ რამეს; პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა წასწიონ წინ ყველა მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ცოცხალებას ჩამორჩენენ“.

საბჭოთა ხალხი ახალ ცხოვრებას, ახალ ყოფას აშენებს მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე საფუძველზე. ამ ხაიმედო კომპასით ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. კომუნიზმის მშენებელთა მასები ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მჭიდროდ შეკავშირებული არიან თავიანთი პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, პარტიისა და ხალხის მეცხორ ერთიანობის მტკიცე იდეური საფუძველია ლენინიზმი — მარქსიზმის ახალი, უმაღლესი ეტაპი.

მარქსიზმ-ლენინიზმი არის ინტერნაციონალური მოძღვრება. ჩვენმა პარტიამ, რომელიც ხათავენი უდგას, და წარმართავს საბჭოთა ხალხის ბრძოლას კომუნიზმისათვის, ბევრი გააკეთა ამ მოძღვრების წინწაწევისათვის. ხელმძღვანელობს რა მარქსისტული დებულებით იმის შესახებ, რომ კომუნისტური ფაზა იწყება სოციალისტური საზოგადოების ხანგრძლივი განვითარების შემდეგ, როცა მის წიაღში მწიფდება კომუნიზმის ეკონომიური, სოციალური და კულტურული წანამძღვრები, ლენინის პარტიამ თავის პროგრამაში განსაზღვრა კომუნისტური მშენებლობის მთავარი მიმართულებანი: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება და ახალი ადამიანის აღზრდა. ეს ამოცანები ყოველმხრივ დასაბუთებულია სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში.

მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების ახალი დადასტურება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. პარტია ისე ზრდის საბჭოთა ადამიანებს, რომ მათ შეგნებული ჰქონდეთ თავიანთი ნარმატებების მნიშვნელობა არა მარტო შინაგანი პრობლემების გადასაწყვეტად, არამედ თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის შესასრულებლად. „შრომის განთავისუფლება, — წერდა მარქსი, — აღგილობრივი და ეროვნული პრობლემა კი არა, არამედ სოციალური პრობლემაა, რომელიც ყველა ქვეყანას მოიცავს“.

როცა ამხილებდნენ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმსა და შოვინიზმს, მარქსი და ენგელსი ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მუშათა კლასის ნამდვილი ეროვნული ინტერესები არათუ არ ეწინააღმდეგებიან მის ინტერნაციონალურ ინტერესებს, არამედ, პირიქით, მჭიდროდ უკავშირდებიან მას. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები მუშათა კლასს ზრდიდნენ პატრიოტიზმის სულისკვეთებით, სხვა ხალხთა ინტერესებისა და ღირსების პატივისცემის სულისკვეთებით. მარქსი წერდა: ხალხი, რომელსაც დამონებული ჰყავს სხვა ხალხი, საკუთარ ბორკილებს ბედავს.

კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავის შესახებერდად მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად ემზადებოდა საბჭოთა საქართველო. ამ მზადებამ რესპუბლიკაში გამოიწვია საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, ხელი შეუწყო იდეოლოგიური მუშაობის აქტივიზაციას. მარქსიზმ-ლენინიზმის უმდიდრესი მემკვიდრეობის ორმად დაუფლებას. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში იმართება საუბრები, პოლიტიკური მოხსენებები, ლექციები, თეორიული კონფერენციები და სამეცნიერო სესიები, მიძღვნილი კ. მარქსის ცხოვრების და მოღვაწეობისადმი, მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი.

საუუუნენახევრის მანძილზე, რამაც კარლ მარქსის დაბადებიდან განვლო, მსოფლიოში მოხდა გრანდიოზული ცვლილებანი. წარსულს ჩაბარდა დედამიწაზე კაპიტალიზმის განუყოფელი ბატონობის ისტორიული ხანა. კომუნიზმი დღეს აჩრდილი კი არ არის, რომელიც საუუუნის წინათ მხოლოდ ევროპაში დადიოდა, არამედ კუნთმაგარი სინამდვილეა, რომლის ძალას და ძლევამოსილებას გრძნობს ჩვენი პლანეტის ყოველი კუთხე. რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში არიან კომუნისტური პარტიები, რომლებმაც დამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ არა მარტო პროპაგანდა გაუწიონ, არამედ პრაქტიკულადაც განახორციელონ მეცნიერული კომუნიზმის იდეალები. ისინი ძლიერი არიან ერთგულებით მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, რომელიც ყოთარდება და მტკიცდება მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. ბურჟუაზიულ იდეოლოგთა ვერაგითარი ყმუილი, რეაქციის ვერაგითარი ხრიკები ვერ შეაჩერებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელებას, ვერ შეასუსტებს მის რევოლუციურ ძალას.

ეს იდეები აერთიანებენ მთელი დედამიწის კომუნისტებს მათს ბრძოლაში თანამედროვე იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მათს ინტერნაციონალურ შეკავშირებას, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცებას ხელი შეუწყო 66 კომუნისტური და მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრამ.

ისტორიული სიმართლე მარქსიზმის მხარეზეა. ჩვენს დროში დიდებულად ეფერს ვ. ი. ლენინის სიტყვები: „მას შემდეგ, რაც მარქსიზმი გაჩნდა, მსოფლიო ისტორიის სამი დიდი ეკონომიდან თვითთეულს მოჰკონდა მისთვის ასალი დადასტურება და ასალი ტრიუმფები. მაგრამ მარქსიზმს, როგორც პროლეტარიატის მოძღვრებას კიდევ უფრო დიდ ტრიუმფს ელოდა, ანუ მომავალი ისტორიული ეპოქა“.

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ ყოვლისმძლე რევოლუციურ მოძღვრებას!

ამხანაგური ვიზიტით

მიმდინარე წლის 4 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით ხანმოკლე ამხანაგური ვიზიტით მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. დუბჩეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ო. შერნიკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე ი. სმრკოვსკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ბილიაკი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. შ. კატუშევი და სხვები. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის ბეჭდვითი სიტყვა

ციფრები მოგვითხრობენ

საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად იზრდება ჟურნალ-გაზეთების რიცხვი, მატულობს მათი ტირაჟი. 1967 წელს, როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს სრულიად საკავშირო წიგნის პალატაში, უველა პერიოდული გამოცემის ერთჯერადმა ტირაჟმა ჩვენს ქვეყანაში შეადგინა 258 მილიონი ცალი. ასლა თითოეულ მცხოვრებზე მოდის პერიოდულ გამოცემათა ერთზე მეტი ეგზემპლარი, თითოეული საბჭოთა ოჯახი კი ილებს ოთხზე მეტ ცალ გაზეთსა და ჟურნალს. ცენტრალური სრულიად საკავშირო გაზეთების ერთჯერადი ტირაჟი 1966 წელთან შედარებით გაიზარდა 8 პროცენტით, რესპუბლიკური გაზეთებისა — 11, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო გაზეთებისა — 12, საქალაქო — 11, რაიონული — 10, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების გაზეთებისა — 2 პროცენტით.

მილიონიანი ტირაჟით გამოდის ჩვენში ცენტრალური გაზეთები. მაგალითად, „პრავდის“ და „იზვესტიის“ საერთო ერთჯერადმა ტირაჟმა 1967 წელს შეადგინა 15 მილიონ 400 ათასი ცალი.

სსრ კავშირის გაზეთები გამოდის 65 ენაზე. მათი დიდი უმრავლესობა მოსახლეობის დედაენაზე გამოდის.

1967 წელს საბჭოთა კავშირში გამოდიოდა 4.704 ჟურნალი (ბიულეტენების, მეცნიერული წერილების ჩათვლით), რომელთა ერთჯერადი ტირაჟი 132 მილიონ 700 ათასი ცალი იყო. ისინი იბეჭდებოდა სსრ კავშირის ხალხთა 45 ენაზე და საზღვარგარეთის ქვეყნების 16 ენაზე.

შარშან 46 ახალი ჟურნალი დაემატა გამოცემებს, რომლებიც წინათ გამოდიოდა. ბევრი მათგანი ეძღვნება ბუნების, მეტყველებისა და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა საკითხებს, მრეწველობისა და ტექნიკას, სოფლის მეურნეობას.

1967 წელს სსრ კავშირში გამოიცა 74.081 სახელწოდების წიგნი და ბროშურა, რომელთა საერთო ტირაჟი 1.248 მილიონ ცალს აღემატება. საშუალოდ ყოველდღიურად 3 მილიონ 406 ათასი ცალი წიგნი და ბროშურა გამოდიოდა სსრ კავშირის ხალხთა 60 ენაზე და საზღვარგარეთის ქვეყნების 38 ენაზე.

მარქსის დღეები საქართველოში

მიუძღვნეს დიდ იუბილეს

△ ქუთაისი, (საკ. კორ.). ორ დღეს გასტანა სამეცნიერო სესიამ, რომელიც შესავალი სტუდენტი გახსნა აკადემიკოსმა ა. ბოჭორიშვილმა.

მოსმენილ იქნა მოხსენებები: დოცენტ ვლ. გულუასი — „მარქსი და ადამიანის მორალური სრულყოფის საკითხი“, დოცენტ რ. ჯინჯოლიასი — „მარქსის მეცნიერული წინასწარმეტყველება და ისტორიული პროგრესის დაჩქარების ზოგიერთი საკითხი“, ა. ბერეგაძისა — „ადამიანის ფილოსოფიური პრობლემა კ. მარქსის ნაშრომებში“, პროფესორი ს. ავალიანისა — „კ. მარქსი — თანამედროვე მეცნიერების ფილოსოფიის ფუძემდებელი“, დოცენტ ბ. ურიდიასი — „განსაზღვრების ზოგიერთი საკითხი კ. მარქსის „კაპიტალში“, დოცენტ ვ. გოგიბერიშვილისა — „მარქსიზმი და პრაგმატიზმი“.

△ რუსთავი. (საკ. კორ.). ქალაქის აქტივისათვის ჩატარდა სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია. მოხსენებით თემაზე „კ. მარქსი — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი“ — გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. მერკვილაძე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ყვანია სამეცნიერო-თეორიული კონფერენციის მონაწილეებს ესაუბრა თემაზე „კ. მარქსის ბრძოლა პროლეტარული პარტიისათვის“.

△ ფოთი. პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტში გამართულ კონფერენციაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები თემებზე: „კარლ მარქსის „ცხოვრება“, „კ. მარქსი — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი“, „მარქსიზმის გავრცელება რუსეთში“, „სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოშობა და განვითარება მარქსიზმ-ლენინიზმის ზეიმია“. მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორები ს. გუბელიძე, გ. ხოჭოლავა, დ. კრავეიშვილი და სხვ. („კომუნისტი“ კორ.).

სამეცნიერო სესია

დღეს, 5 მაისს, დღის 2 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აწყობენ სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს

კარლ მარქსის

დაბადების 150 წლისთავისადმი

დღის წესრიგი:

1. კ. მარქსი — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. მერკვილაძე). 2. კ. მარქსის „კაპიტალის“ ისტორიული მნიშვნელობა (პროფესორი ა. ფანცხავა). 3. კ. კ. მარქსის ფილოსოფია და თანამედროვეობა (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ო. ბაკურაძე). 4. მარქსიზმის გავრცელება საქართველოში (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. მახარაძე).

სესია გაიმართება პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 29).

5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა

საბჭოთა პრესა

ПРАВДА

4 მაისის მოწინავე

ხვალ საბჭოთა პრესის დღეა.

ჩვენი ქვეყნის ჟურნალისტთა, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა, პოლიგრაფისტთა, პრესის გამავრცელებელთა, ყველა მშრომელთა ეს დღესასწაული წელს ემთხვევა ღირსშესანიშნავ თარიღს — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავს. გენიალური მოაზროვნე და მეზღვაბარე რევოლუციონერი კარლ მარქსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პერიოდულ პრესას. „ახალი რაინის გაზეთი“, რომელსაც მარქსი რედაქტორობდა, გახდა არა მარტო მოწინავე დემოკრატიის ტრიბუნა, არამედ მაორგანიზებელი რევოლუციური ცენტრიც. პროგრესული პრესის შესახებ მარქსი წერდა: „ისევე როგორც თვით ცხოვრება. პრესაც მუდმ ვითარდება, და მასში არასდეს არაფერი არ არის დამთავრებული. იგი ცხოვრობს ხალხთან ერთად და პატიოსნად იზიარებს მის იმედებსა და წუხილს, მის სიყვარულსა და სიძულვილს, მის ჭირსა და ლხინს“.

საბჭოთა პრესის მთელი ისტორია, მთელი მისი საქმიანობა მარქსის. ამ აზრის ცოცხალი განსახიერებაა. ჩვენმა პრესამ გამაკიცა და გაამრავლა რევოლუციამდელი მარქსისტული პერიოდიკის გამოცდილება, განუხრელად იცავს პარტიულობის, მაღალი იდეურობის, მასობრივობის ლენინურ პრინციპებს და აი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ერთგულად ემსახურება თავის ხალხს, კომუნისტური პარტიის საქმეს. სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიის ყველა ეტაპზე პარტია ფაროდ იყენებს თავის საბრძოლო, ნაცად იდეურ იარაღს — პრესას.

ახლა როცა ჩვენი ქვეყანა წყვეტს სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს, პრესის როლი კიდევ უფრო მაღლება. იგი მოწოდებულია აქტიურად რაზმავდეს ხალხის ძალებს ჩვენი ეკონომიური მშენებლობის ტემპების გასაძლიერებლად, იყოს სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ნამდვილი ტრიბუნა, ზრდიდეს კომუნიზმის მშენებელ ახალ ადამიანს.

ჩვენი პრესა დიდი გულმოდგინებითა და მეზანსწრაფუოლობით უწევს პროპაგანდას მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებს. განსაკუთრებით მდიდარი ამოვდილება შეეძინენი საუბილეო წელს, ბევრ გაზეთს აქვს მუდმივ რუბრიკა „ლენინური კითხვები“, „მარქსისტულ-ლენინური ცოდნის უნივერსიტეტი“, „პროპაგანდისტის დასახმარებლად“ და სხვ. კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავის დღესასწაული, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება ამ მუშაობის გაღრმავებისა და სრულყოფის დიდმნიშვნელოვანი სტიმულია.

ჩვენი პრესის მოვალეობაა შუადმ ზრუნავდეს საბჭოთა ადამიანების იდეური ზრდისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ თანამედროვე პირობებში შეურიგებელ ბრძოლას მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის ხრიკების გადაჭრით მხილებას, სკკპ წევრებისა და ყველა მშრომელთა კოშუნისტურ აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, პრესის იდეოლოგიური მუშაობა უფრო მჭიდროდ უნდა დაეკავშიროთ მასების შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომი ამაღლების ამოცანებს, ხუთწლედის წარმატებით შესრულების ამოცანებს.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში მთავარია ყოველნაირად ვამაღლებდეთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას, ვაჩქარებდეთ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. ახლა, სამეურნეო რეფორმის პირობებში, ამ თემების გაშუქებისას პირველ რიგში საჭირო ღრმა ანალიზი და განზოგადება, ყოველმხრივი მეცნიერული მიდგომა ახალი ეკონომიური მოვლენებისადმი, პრაქტიკული გამოცდილებისადმი. საინტერესოდ, საქმის დიდი ცოდნით აშუქებენ, მაგალითად, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასულ საწარმოთა მუშაობას „ლენინგრადსკაია პრავდა“, სვერდლოვსკის საოლქო გაზეთი „ურალსკი რაბოჩი“, უკრაინის რესპუბლიკური „რობიტნიჩა გაზეტა“. სოფლის მეურნეობის ეკონომიკის აღმავლობაში სერიოზულ დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციებს. ბევრი რესპუბლიკური და საოლქო გაზეთი. მაგრამ ჩვენი ჯერ კიდევ არის პრესის ორგანოები, რომლებიც მხედველობიდან უშვებენ უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ თემებს ან ზერელედ აშუქებენ მათ.

ჩვენი სამშობლოს შრომითი დღეები, შემოქმედებისა და აღმშენებლობის სულისკვეთებით გამსჭვალული, შრომითი მამაცობის მაგალითებით, ხალხთა სოლიდარობისა და მეგობრობის შესანიშნავი გამოვლინებებით მდიდარი დღეები საბჭოთა პრესისათვის მრავალფეროვანი, შინაარსიანი ინფორმაციის დაუშრეტელი წყაროა. საჭირო დროზე, ოპერატიულად გავაცნო მოსახლეობას ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ახალი ამბები, საზღვარგარეთის ამბები, მკაფიო ფაქტებით ვუჩვენოთ კომუნისტური მშენებლობის ჰეროიკა, საბჭოთა ცხოვრების წესის უპირატესობანი

ჩვენი პრესის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა შეტევითის ბრძოლას ეწეოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, აქტიურად ილაშქრებდეს ლიტერატურის, ხელოვნების ცალკეულ ნაწარმოებებსა და სხვა ნაწარმოებებში საბჭოთა საზოგადოების სოციალისტური იდეოლოგიისათვის უცხო შეხედულებათა შეპარების ცდების წინააღმდეგ.

პრესის მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს ახალგაზრდა თაობის აღზრდა ხალხის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე. სწორად იქცევიან ზღვისპირეთის სამხარეო გაზეთის „ცრასნოე ზნამიას“, „ნოგგოროდსკაია პრავდის“, „პსკოვსკაია პრავდის“ რედაქციები, რომლებიც რეგულარულად ბეჭდავენ გამოსვლებს სამხედრო-პატრიოტულ თემებზე, აცნობენ ახალგაზრდობას უფროსების სახელოვან შრომითსა და საბრძოლო გმირობას. მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღზრდას. უნდა დავეხმაროთ მას ცოდნის დაუფლებაში.

მშრომელთა კულტურის, ყოფაცხოვრების, დასვენების საკითხებს, განსაკუთრებით ხუთსამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გაზეთებსა და ჟურნალებში და აქაც ფართო ასპარეზია რედაქციათა შემოქმედებითი ინიციატივის, ორგანიზატორული მუშაობის გამოსავლინებლად.

გაზეთების ფურცლებზე იბეჭდება მშრომელთა სულ უფრო მეტი წერილი სულ სხვადასხვა საკითხებზე. ჩვენს პრესას მკითხველთა ფოსტასთან მუშაობის, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის განვითარების მდიდარი ტრადიციები აქვს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამასწინანდელი ბრძანებულება „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ მოითხოვს, რომ პრესის თანამშრომლები კიდევ უფრო მეტი დაკვირვებით მოეკიდონ თვითეულ წერილს.

პრესის ორგანო წარმატებით რომ ასრულებდეს თავის დიდ ამოცანებს, საჭიროა სრულყოფილ პარტიული ხელმძღვანელობა პრესისადმი. პარტიული კომიტეტები უფრო ღრმად უნდა სწვდებოდნენ გაზეთებისა და ჟურნალების მუშაობას, უნდა ზრდიდნენ მათი გამოსვლების ქმედითობას, ზრუნავდნენ ჟურნალისტთა კადრების ზრდისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით, ამბობდა ვ. ი. ლენინი. ლენინის ანდერძისამებრ საბჭოთა ჟურნალისტები, მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა მრავალმილიონიანი არმია კვლავაც პარტიული ბრძნობრივით, მკაფიოდ და მარილად ასახავენ საბჭოთა სინამდვილეს, აღზრდიან ახალი საზოგადოების შეგნებულ და მტკიცე მშენებლებს, მთელ თავიანთ ნიჭსა და ენერგიას მოახმარენ კომუნიზმის საქმეს.

მარქსი უფრო მაღლა იდგა, უფრო შორს ხედავდა, უფრო ფართო ჰორიზონტის პატრონი იყო და უფრო სწრაფად სჯერეოდა, ვიდრე ჩვენ ყველანი. მარქსი გენიოსი იყო, ჩვენ დანარჩენი კი, საუკეთესო შემთხვევაში, ტალანტები ვიყავით. უმიოდ ჩვენი თეორია დღეს სრულიადაც ის არ იქნებოდა, რაც არის. ამიტომ ეს თეორია სამართლიანად ატარებს მის სახელს.

ფ. ენგელსი

კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის

კაცობრიობის დიდი გენია მარქსი და კომუნისტური პარტია

მარქსის მოძღვრება ყოვლადძლიერია, იმიტომ რომ იგი სწორია. იგი სრული და მწყობრია, აძლევს რა ადამიანებს მთლიან სოფლმხედველობას, რომელიც ვერ ურიგდება ვერავითარ ცრუმორწმუნეობას, ვერავითარ რეაქციას, ბურჟუაზიულ ჩაგვრის ვერავითარ დაცვას. იგი არის კანონიერი მემკვიდრე უველაზე უკეთესისა, რაც კი კაცობრიობამ შექმნა XIX საუკუნეში გერმანული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიისა და ფრანგული სოციალიზმის სახით.

ვ. ლენინი

ДЕКРЕТЫ ВЕЛИКОЙ ОКТЯБРЬСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ

მარქსი უფრო მაღლა იდგა, უფრო შორს ხედავდა, უფრო ფართო ჰორიზონტის პატრონი იყო და უფრო სწრაფად სჯერეოდა, ვიდრე ჩვენ ყველანი. მარქსი გენიოსი იყო, ჩვენ დანარჩენი კი, საუკეთესო შემთხვევაში, ტალანტები ვიყავით. უმიოდ ჩვენი თეორია დღეს სრულიადაც ის არ იქნებოდა, რაც არის. ამიტომ ეს თეორია სამართლიანად ატარებს მის სახელს.

ფ. ენგელსი

დღეს პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავს. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. მათ მეცნიერულად დაამუშავეს და მოგვცეს მწყობრი თეორია პროლეტარიატის პარტიის მშენებლობის შესახებ, ჩამოაყალიბეს ძირითადი დებულებები პროლეტარული პარტიის ხასიათის, მიზნებისა და მისი ორგანიზაციული აგების ფორმებზე.

მარქსმა და ენგელსმა პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შესახებ თავიანთი მოძღვრების ძირითადი საფუძვლები ჩამოაყალიბეს თავიანთ უკვდავ ნაწარმოებში — „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, რომელშიც პროგრამის ფორმით გადმოცემულია მარქსისა და ენგელსის მსოფლმხედველობის ძირითადი საფუძვლები, მეცნიერული კომუნიზმის თეორიული და ტაქტიკური საფუძვლები.

ეხებოდნენ რა პროლეტარული პარტიის საკითხს, მარქსი და ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ წერდნენ, რომ კომუნისტური პარტია უნდა წარმოადგენდეს **მუშათა კლასის ავანგარდს, მოწინავე და შეგნებულ რაზმს.**

კომუნისტები, წერდნენ ისინი, „...პრაქტიკულად წარმოადგენენ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე უფრო შეუპოვარ, მუდამ წინ მავალ ნაწილს“, კომუნისტური პარტია, მარქსისა და ენგელსის აზრით, არის განსაბიერება მჭიდრო და ურღვევი კავშირისა მუშათა კლასის მილიონიან მასებთან. კომუნისტებს „არა აქვთ არავითარი ისეთი ინტერესები, რომლებიც განცალკევებული იყოს მთელი პროლეტარიატის ინტერესებისაგან“.

მარქსი და ენგელსი განსაკუთრებით მიუთითებდნენ, რომ კომუნისტური პარტია უნდა წარმოადგენდეს პროლეტარიატის არა პარტიულ ყველაზე მოწინავე და მებრძოლ ნაწილს, არამედ **ყველაზე შეგნებულ ნაწილსაც,** რომ იგი შეიარაღებული უნდა იყოს მოწინავე რევოლუციური თეორიით და კლასობრივი ბრძოლის კანონების ღრმა ცოდნით. „...თეორიულად მათ ის უპირატესობა აქვთ პროლეტარიატის დანარჩენ მასასთან შედარებით, რომ შეგნებული აქვთ პროლეტარული მოძრაობის პირობები, მსვლელობა და საერთო შედეგები“.

მარქსი და ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მიუთითებენ კომუნისტების იმ **დამახასიათებელ თავისებურებებზე,** რომლებიც მათ განასხვავებენ დანარჩენი პარტიებისაგან. ეს თავისებურებანი მდგომარეობენ: პირველი, იმაში, რომ კომუნისტები „...პროლეტარების სხვადასხვა ეროვნულ ბრძოლებში წინ აყენებენ და იცავენ მთელი პროლეტარიატის საერთო, ეროვნებისაგან დამოუკიდებელ ინტერესებს“, მეორე, იმაში, რომ „...განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რომელებსაც გაივლის ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ისინი მუდამ ერთობლივი მოძრაობის ინტერესებს იცავენ“.

მარქსმა და ენგელსმა ნათლად განსაზღვრეს **კომუნისტების დამოკიდებულება სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან.** „კომუნისტები, — წერდნენ ისინი,— ყველგან მხარს უჭერენ ყოველ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ... ყველგან მუშაობენ ყველა ქვეყნის დემოკრატიული პარტიების შეთანხმებულად და შესათანხმებლად“.

მარქსმა და ენგელსმა დაამუშავეს ეს აგრეთვე პროლეტარული პარტიის ორგანიზაციული პრინციპები, რომლებმაც თავისი გამოხატულება პოვეს 1847 წლის დეკემბერში კომუნისტების კავშირის მეორე კონგრესის მიერ მიღებულ წესდებაში. წესდების პირველი პარაგრაფი ასე განსაზღვრავს პროლეტარული პარტიის მიზანს:

„ბურჟუაზიის დამხობა, პროლეტარიატის გაბატონება, ძველ კლასობრივ ანტაგონიზმზე დამყარებული ბურჟუაზიული საზოგადოების მოსპობა და ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც არ იქნება არც კლასები, არც კერძო საკუთრება“.

წესდების მეორე პარაგრაფში ჩამოთვლილია პირობები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს კომუნისტების კავშირის რიგებში შემსვლელი. ეს პირობები კავშირის წევრებისაგან მოითხოვენ იმას, რომ მათი ცხოვრება და მთელი მათი პრაქტიკული მოღვაწეობა შეესაბამებოდეს პროლეტარული პარტიის საერთო მიზანს, აღიარებდნენ კომუნიზმს და იბრძოდნენ მისი განხორციელებისათვის; ემორჩილებოდნენ კავშირის დადგენილებებს; საიდუმლოდ ინახავდნენ კავშირის ყველა საქმეს და ირიცხებოდნენ კავშირის ერთერთ ორგანიზაციაში. წესდების ეს პარაგრაფი დაუშვებლად თვლიდა კავშირის რომელიმე წევრის მონაწილეობას ანტიკომუნისტურ მიმდინარეობაში.

მარქსი და ენგელსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საკითხს პარტიის პროლეტარული ხასიათისა და მისი სოციალური შემადგენლობის შესახებ. ისინი აუცილებელ საჭიროებად თვლიდნენ, რომ პროლეტარული პარტია ყოფილიყო შემდგარი უმთავრესად მუშებისაგან. მაგრამ თუ პროლეტარულ მოძრაობას შეუერთდებოდნენ სხვა კლასების წარმომადგენლები, მაშინ, მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი მათ უპირველეს ყოვლისა მოეთხოვებოდათ, რომ თან არ მოეტანათ „ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული და მათ მსგავსთა ყალბი აზრები და უსიტყვოდ შეეთვისებინათ პროლეტარული მსოფლმხედველობა“,

მარქსი და ენგელსი არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ პროლეტარული პარტიის გაძლიერება და განმტკიცება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მის რიგებში დაშვებული არ იქნებიან მერყევი, არასაიმედო ელემენტები. „ჩვენ ვიცით, — სწერდნენ ისინი 1874 წლის 11 მაისს კრიგეს, — რომ ყოველი პრინციპი და ყოველი მიმართულება ხდება მით უფრო ძლიერი და შეურიგებელი, რაც უფრო ულმობლად გაათავისუფლებენ მას კრიტიკის გზით არასაჭირო ხორცმეტისაგან და უცნაურობებისაგან. მსგავსად იმისა, როგორც ხე ხდება მაგარი და მოიხსამს უკეთეს ნაყოფს, როცა დროზე ჩამოსჭრიან გამხმარ ტოტებს“.

ჯერ კომუნისტების კავშირის რიგებში, შემდეგ კი პირველ ინტერნაციონალში მარქსი და ენგელსი ოპორტუნისტებისა და სხვადასხვა ტიპის შემთანხმებლების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში **მტკიცედ იცავდნენ პარტიულობას, რევოლუციური პრინციპების შერყევისგან.**

მარქსმა და ენგელსმა **მოგვცეს კომუნისტური პარტიის უშუალო მიზნებისა და ამოცანების კლასიკური ფორმულირება.** ისინი პროლეტარული პარტიის ნამდვილ ამოცანას ხედავდნენ არა საზოგადოების გარდაქმნის გეგმების შეთხზვაში, არა ქადაგებაში კაპიტალისტებისა და მათი დამჭაშნიკის წინაშე, რათა გაეუმჯობესებინათ მუშათა მდგომარეობა, არა ტური ჯგუფების შექმნისა, მიზნად ჰქონდა კავშირი დაემყარებინა გერმანიის სხვადასხვა კომუნისტურ ჯგუფებთან, და პირველ რიგში „სამართლიანთა კავშირთან“. მალე ამის შემდეგ ასეთივე ცენტრი მარქსისა და ენგელსის ინიციატივით იქმნება ლონდონშიც. 1846 წლის ბოლოს ენგელსი პარიზში მიემგზავრება და, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, იქაც ქმნის კომუნისტურ ცენტრს.

ამრიგად, 1847 წლის პირველი ნახევრისათვის მარქსისა და ენგელსის ხელმძღვანელობით ევროპის თითქმის ყველა უმთავრეს სახელმწიფოში იქმნება კომუნისტური ცენტრები. მაგრამ მარქსი და ენგელსი ამითაც არ დაკმაყოფილებულან. ისინი თავიანთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდნენ არსებული კომუნისტური ორგანიზაციების შეიარაღებას მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი პრინციპებით.

მარქსისა და ენგელსის უშუალო ხელმძღვანელობით კომუნისტური ორგანიზაციები იმდენად მოემზადნენ იდეურად .. და განმტკიცდნენ ორგანიზაციულად, რომ შესაძლებელი გახდა კონგრესის მოწვევა 1847 წლის ივლისის დამდეგს ლონდონში, რომელსაც როგორც დელეგატი პარიზიდან ესწრებოდა ფ. ენგელსი. კონგრესმა ენგელსის ხელმძღვანელობით მოახდინა „სამართლიანთა კავშირის“ რეორგანიზაცია და „ყველაფერი ის, რაც მასში კიდევ იყო დარჩენილი შეთქმულებათა დროიდან მომდინარე ძველი მისტიკური სახელწოდებიდან, მოსპობილ იქნა“. ამ დროიდან „სამართლიანთა კავშირს“ ეწოდა „კომუნისტების კავშირი“. იგი ისტორიაში შევიდა როგორც პროლეტარული პარტიის ჩანასახი.

კომუნისტების კავშირმა 1847 წლის სექტემბერში ლონდონში გამოსცა თავისი ბეჭდვითი ორგანოს — „კომუნისტური ეურნალის“ პირველი ნომერი, რომელშიც ნაცვლად „სამართლიანთა კავშირის“ ძველი, წვრილბურჟუაზიული ლოზუნგისა: „ყველა ადამიანები ძმებიაო“, ამშვენებდა მარქსისა და ენგელსის მოწოდება — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, რომელიც „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოცემის შემდეგ მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლისა და გამარჯვების ლოზუნგად გადაიქცა.

კომუნისტების კავშირი უმოკლეს დროში გადაიქცა ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციად. მისი გავლენა სწრაფად იზრდებოდა ევროპის პროლეტარიატში. მას ჯერ ერთი წლის არსებობის ისტორიაც არ ჰქონდა, როცა გაჩაღდა 1848-1849 წლების რევოლუცია ევროპაში. ამ რევოლუციაში კომუნისტების კავშირმა გვიჩვენა თავისი თავი როგორც „რევოლუციური მოღვაწეობის სუკეთესო სკოლამ“. კომუნისტების კავშირის წევრები, — წერდნენ მარქსი და ენგელსი, — ყველგან ენერგიულად მონაწილეობდნენ მოძრაობაში, „ისინი პრესაშიც, ბარიკადებზეც, ბრძოლის ველზეც იდგნენ ერთადერთი ნამდვილად რევოლუციური კლასის, პროლეტარიატის, პირველ რიგებში“.

კომუნისტების კავშირმა არსებობა შეწყვიტა მალე 1848-1849 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ, 1852 წელს. მიუხედავად ასეთი მოკლე ისტორიისა, მას უაღრესად საპატიო ადგილი უჭირავს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ევროპის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების ისტორიაში.

კომუნისტების კავშირის არსებობის შეწყვეტას, რომელიც მოჰყვა გერმანიაში მუშათა აჯანყების დამარცხებას და რეაქციის გაძარჯვებას, უსაზღვროდ განიცდიდნენ მარქსი და ენგელსი. „ძნელია წარმოიდგინო უფრო გადამწყვეტი დამარცხება, ვიდრე ის, რომელიც განიცადა რევოლუციურმა პარტიამ ან, უფრო სწორად, განიცადეს კონტინენტის რევოლუციურმა პარტიებმა საბრძოლო ხაზის ყველა პუნქტზე. მაგრამ რა გამოვა აქედან?“ — წერდა ენგელსი და იქვე უპასუხებდა, რომ მეშმპრიტ რევოლუციონერებს „არაფერი სხვა არ რჩებათ, თუ კვლავ თავიდან არ დაიწყონ“.

მართლაც, კომუნისტების კავშირის მიერ არსებობის შეწყვეტის შემდეგაც მარქსი და ენგელსი ოდნავაც არ ანელებენ ზრუნვასა და ბრძოლას პროლეტარული პარტიის შექმნისათვის. ისინი თავიანთ მრავალრიცხოვან ნაშრომებსა და მიწერ-მოწერაში შემდგომ ავითარებენ და აღრმავებენ თავიანთ მოძღვრებას პარტიის შესახებ. მარქსისა და ენგელსის სახელთან დაკავშირებულია პირველი საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციის — „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის“ — პირველი ინტერნაციონალის შექმნა.

თეზისებში კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის ხაზგასმულია, რომ **მარქსი იყო ინმხი იდეოლოგიური საფუძვლები და ორგანიზაციული პრინციპები, წესდება და პროგრამა, პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა პარტიული ცხოვრების ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები.**

ლენინის მიერ შექმნილმა პარტიამ — მსოფლიოში **უველაზე ძლიერმა, გამოწრთობილმა და ავტორიტეტულმა პარტიამ** თავისი ისტორიის მანძილზე განვლო გმირული ბრძოლის, ძნელი განცდელისა და მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სახელოვანი გზა და გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიად.

დღეს ლენინის პარტია ხელმძღვანელობს კომუნიზმის აშენებისათვის საბჭოთა ხალხის ისტორიულ ბრძოლას. იგი ამასთან ერთად **დაუღალავად იბრძვის დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და ძლიერების განტკიცებისათვის.** იზრდება **კომუნიზმის ძალები.** როცა მარქსმა და ენგელსმა მაღლა აღმართეს **კომუნიზმის ძალები.** ამ დღეს აქ საპატიო ადგილი ჩაეჭარა კარლ მარქსის ძეგლს.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. შემდეგ მას გადასცეს სპილენძის ფირფიტა. მის რგილ ზედაპირზე ლენინმა სპეციალური ფანქრით წაწერა: **„სახალისაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)“.** ფირფიტას ხელი მოაწერეს მიტინგის სხვა მონაწილეებმაც. ფირფიტა ჩაუშვეს ორმოში, დაეყარეს მიწა და დაადეს ქვა წარწერით: **„პროლეტარიატის დიდი ხელმძღვანელის კარლ მარქსის ძეგლის პირველი ქვა“.**

გავიდა დრო, და იმ ადგილას, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ვ. ი. ლენინმა ჩადო სახსოვარი რელიკვია, ახლა დგას ბრანიტის ქვისაგან გამოთლილი მარქსის მონუმენტი.

ასე ჩაეყარა საძირკველი

ეს ფოტოსურათი ნაკლებად არის ცნობილი. ვ. ი. ლენინი გადალებულია 1920 წლის 1 მაისს მოსკოვში, თეატრალურ მოედანზე. ამ დღეს აქ საძირკველი ჩაეყარა კარლ მარქსის ძეგლს.

მარქსის დღეები საქართველოში

მიუძღვნეს დიად იუბილეს

● **ფუთი.** აქ მოეწყო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია. წაიკითხეს ლექციები თემებზე: „კარლ მარქსის მოძღვრება კომუნისტური პარტიის შესახებ“, „მარქსიზმის გავრცელება რუსეთსა და საქართველოში“, „მარქსისტულ-ლენინური პარტიების ბრძოლა თანამედროვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და ძლიერების“. მოხსენებები წაიკითხეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა გ. ბრეგაძემ, დოცენტებმა გ. გამსახურდიამ და შ. ნოზაძემ.

ლ. ხოსროშვილი.

● **თელავში** მოეწყო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი. მოხსენებით „კარლ მარქსი — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი“ გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ვ. ქარუმიძე.

სესიაზე მოხსენებები: „კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ“, „კარლ მარქსი და მსოფლიო რევოლუციური პროცესი“ წაიკითხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტებმა რ. გრძელიძემ და გ. ხუნწარიამ.

ვ. კუტალაძე.

● **თბილისში** პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლთან არსებულმა მუშათა უძველესმა ბიბლიოთეკამ კულტურის სახლის ლიტერატურის წრის ძალებით ორთქლმავალ-ვაგონშემკეთე ბელქარხანაში გამართა მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. მოხსენება — „კარლ მარქსის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — წაიკითხა პოეტმა ვ. გორგანელმა.

დასასრულ, მარქსისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს წრის წევრებმა თამარ ოლიძემ, გიორგი მათიაშვილმა, ნანი ჭედიამ, როსტომ პეტრიაშვილმა, გივი ზაზიკაშვილმა, ჯემალ ბელიძემ, ნანა ჯერანაშვილმა.

ვ. გვასალია.

● **ამბაში.** სარაიონო ბიბლიოთეკაში ყურადღებას იპყრობს კარლ მარქსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსურათებისა და მასალების გამოფენა. ასეთივე გამოფენები მოეწყო რაიონის კულტურის სახლებსა და ბიბლიოთეკებში. ამ გამოფენებს ბევრი მნახველი ჰყავს.

ი. თოფურია.

● **სარეკი.** (საკ. კორ.). **საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სკოლებში წაიკითხეს ლექცია-მოხსენებები მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კ. მარქსის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ბიბლიოთეკებსა და პოლიტიკური განათლების კაბინეტებში მოწყობილია ლიტერატურისა და ფოტოდოკუმენტების გამოფენები.**

აკ. წერეთლის სახელობის საჩხერის საშუალო სკოლის გერმანული ენის შემსწავლელმა წრემ მოაწყო კ. მარქსისადმი მიძღვნილი გამოფენა, კითხვა-პასუხის საღამო.

მისი ბიოგრაფიის ფურცლებიდან

1818 წლის 5 მაისს ადვოკატ ჰენრიხ მარქსს და მის მეუღლე გენრიეტას ვაჟიშვილი შეეძინათ. ეს იყო ქალაქ ტრიერში № 664 სახლში. მამამ მესამე შვილს კარლი დაარქვა.

კ. მარქსის მამა ფრიად განათლებული კაცი იყო. მას არც იაფვე სწამდა და არც ქრისტე. მაგრამ ბოლოს მაინც მოინათლა და ლუთერანი გახდა. იგი იყო იმათი თავკაცი, ვინც 1830 წელს მეფეს მიმართა წერილით პრუსიაში ლიბერალური რეფორმების განხორციელებაზე.

კ. მარქსის დედა ჰოლანდიელი ქალი იყო, ცნობილი რაბინის ისაკ პრესბორკის ოჯახიდან. მან ჩაუნერგა თავის ოთხივე შვილს მებრძოლი სული. იგი პატარა კარლს ოჯახში მისი გამჭრიახობისა და ნიჭის გამო „ბედნიერს“ ეძახდა.

ჰენრიხ მარქსის ოჯახის ახლო მეგობარი იყო იუსტიციის მრჩეველი ლუდვიგ ფონ ვესტფალენი (შემდგომ კ. მარქსის სიმამრი). იგიც იქვე ახლოს ცხოვრობდა. ლუდვიგის ქალიშვილი ჯენი ჰენრიხის ქალიშვილ სოფიოსთან მეგობრობდა, ხოლო ვაჟიშვილი ედგარი — კარლთან.

1830 წელს პატარა კარლი მიაბარეს ტრირის გიმნაზიაში, სადაც ექვს წელიწადს სწავლობდა. მისი მასწავლებლები იყვნენ მთავარეპისკოპოსი — შტენინგერი, ძველ ენაში — შნვმნი, ისტორიასა და ფილოსოფიაში — გიმნაზიის დირექტორი იოპანეს ჰეგო ვიტენბახი. გიმნაზიის უფროს კლასებში ახალგაზრდა კარლი უკვე ლათინურ ენაზე კითხულობდა ციცერონს „ორატორობის შესახებ“, ტაციტს „ანალებს“, ძველ ბერძნულ ენაზე პლატონს, ჰომეროსს და სოფოკლეს...

1835 წელს 17 წლის კ. მარქსი ბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. მაგრამ მეორე სემესტრიდან სწავლა განაგრძო ბერლინის უნივერსიტეტში. ბერლინში გამგზავრებამდე იგი დაინიშნა თავისი სიყრმის მეგობარ ჭალზე ჭენი ფონ ვესტფალენზე; სტუდენტობის დროს იგი ძალიან ბევრს მუშაობდა, წერდა ლექსებს, სწავლობდა ჰეგელის ფილოსოფიას, ლიტერატურას, ხელოვნების ისტორიას, იტალიურსა და ინგლისურ ენებს.

1841 წლის 15 აპრილს კ. მარქსმა იენის უნივერსიტეტში მიიღო დოქტორის ხარისხი, მაგრამ პოლიტიკით გატაცების გამო პროფესორობაზე ფიქრს სამუდამოდ გამოეთხოვა. მისი სადოქტორო დისერტაციის თემა იყო „დემოკრიტესა და ეპიკურეს ნატურ-ფილოსოფიის განსხვავების შესახებ“.

1842 წლის იანვრიდან კ. მარქსი „რაინის გაზეთში“ იწყებს თანამშრომლობას, ხოლო ამავე წლის შემოდგომიდან ხდება ამ გაზეთის ფაქტიური რედაქტორი. არსებითად შეიცვალა გაზეთის პოლიტიკური მიმართულება. ხელისუფლება იძულებული გახდა ერთის ნაცვლად ორი ცენზორი დაენიშნა მისთვის. მაგრამ ამაოდ. მათ ვერ შეაჩერეს მარქსის ულმობელი ლოგიკა, პოლიტიკური ალღო და ქარიშხლიანი ტემპერამენტი. ბოლოს 1843 წელს გაზეთი დახურეს.

1843 წელს კ. მარქსმა იქორწინა ჯენი ვესტფალენზე და საცხოვრებლად გადავიდა პარიზში. აქ იგი შეუდგა რადიკალური ეურნალის „ფრანგულ-გერმანული წელიწდეულის“ გამოცემას. 1844 წელს გამოვიდა ამ ეურნალის პირველი ორი ნომერი ერთად. აქ დაიბეჭდა მარქსის გენიალური ნაშრომი „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესახებ“.

1844 წელს პარიზში კ. მარქსი და ფ. ენგელსი პირველად პირადად შეხვდნენ ერთმანეთს. დაიწყო მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა დიადი მეგობრობა.



სანლი ნომერ 10 (მარცხნიდან პირველი) ძველ გერმანულ ქალაქ ტრიერის ბრიუკენშტრასეს ეუჩაზე, სადაც 1818 წლის 5 მაისს დაიბადა კარლ მარქსი.

ფოტო ადნ-საკდესისა.

პროლეტარიატის პირველი გაზეთები

ზაზეთი ხელისუფალთა სულ უფრო და უფრო მეტ შემფოთებას იწვევდა. მისი რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება მინისტრთა საბჭოს მსჯელობის ობიექტი გახდა. თვით პრუსიდენტს მოახსენეს, რომ გაზეთი გამოირჩევა კადნიერებითა და აშკარად იმისათვის გამიზნული ტენდენციით, რომ მტრული დამოკიდებულება დათესოს ეკლესიასა და სახელმწიფოში არსებული წესისადმი, ძირი გამოუთხაროს მათ, წაეკიდოს უმაყოფილების გამოსახატავად, ბოროტი განზრახვით ჩირქი მოსცხოს სახელმწიფო მმართველობას, განსაკუთრებით ცენზურას, მასხრად აიგდოს პოლიციის მოქმედება ცენზურის საქმეთა მიმართ როგორც პრუსიაში, ისე გერმანიაში, შეურაცხყოფა მიაყენოს მეგობრულ სახელმწიფოებს“. აქციონერთა საგანგებო თათბირმა მოითხოვა გამოცემას შეერბილებინა ტონი.

მაგრამ რედაქტორი არ აპირებდა კომპრომისზე წასვლას, არ აპირებდა გადაერჩინა გაზეთი იმით, რომ მიეცა მისთვის ისეთი სულისკვეთება, როგორიც მთავრობას ნებავდა.

„...სული-მეხუთეზოდა ამ ატმოსფეროში, — წერდა იგი. — საძაგლობაა უღელში იყო შებმული თუნდაც თავისუფლების გულისათვის; საძაგლობაა ქინძისთავს ჩხვლეტდე ნაცვლად იმისა, რომ კეტით იბრძოდე. მომბეზრდა თვალთმაქცობა, სისულელე, უხეში თვითნებობა, მომბეზრდა შეგნება, თავის დაძვრენა, დამორჩილება, ყოველი ეროვნული შარისათვის ანგარიშის გაწევა“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. 27. გვ. 372).

გამოცემა, რაზეც აქ ლაპარაკია, ეს არის „რაინის გაზეთი პოლიტიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის საკითხებზე“, რომელმაც, ენგელსის სიტყვით, „საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე პერიოდულ პრესას გერმანიაში“. ხოლო რედაქტორი, რომელმაც იგი სულიერი, პოლიტიკური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდ გადააქცია, კარლ მარქსი იყო.

კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის ლენინგრადის უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოდის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე ბერმენოის წიგნი „კ. მარქსი, ფ. ენგელსი და პრესა“.

ეს ახალ წიგნში ასახულია მარქსისა და ენგელსის ჟურნალისტური ბიოგრაფიის ყველა ეტაპი. ისინი ხდებიან გაზეთ „ვეერეიოდის“ წამყვანი თანამშრომლები, და ეს გაზეთი მალე კომუნისტური მიმართულებისა ხდება. ისინი „ბრიუსელის გერმანულ გაზეთს“, რომელსაც მანამდე ცენტრისტული პოზიცია ეკავა რადიკალებსა და დემოკრატებს შორის, ახლად ჩამოყალიბებული კომუნისტთა კავშირის ორგანოდ აქცევენ. ისინი ქმნიან ყოველდღიურ „ახალ რაინის გაზეთს“, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო, უბადლო ორგანო“ უწოდა. (ლენინი, თხზ. სრული კრებ., ტ. 26, გვ. 83).

„ახალი რაინის გაზეთი“ მკვლევარის ყურადღების ცენტრშია. იგი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ქმნიდნენ მარქსი და ენგელსი კორესპონდენტთა ფართო ქსელს, რომელსაც, მათი ჩანაფიქრით, უნარი შესწევდა „დაეკმაყოფილებინა... მკითხველთა ყველა მოთხოვნილება“ (ტ. 5, გვ. 9), როგორ ამყარებდნენ ისინი კავშირს საზღვარგარეთის დემოკრატიულ ორგანოებთან, რათა მათ „სამსახური გაეწიათ დემოკრატიის საქმისათვის ამა თუ იმ ქვეყანაში“ (ტ. 5, გვ. 5), როგორ იყენებდნენ ლეგალური გაზეთის ფურცლებს ბურჟუაზიასთან, მთავრობის ანტიდემოკრატიულ მოქმედებასთან ბრძოლისათვის, იმისათვის, რომ მიემზროთ შემთანხმებელთა გავლენაში მყოფი ხალხის მასები.

გაზეთის გასაშართლებაც კი, ნათქვამია წიგნში, მარქსმა და ენგელსმა იმისათვის გამოიყენეს, რომ გამოეცხადებინათ თავიანთი პრინციპები, მოეზიდათ ახალი მკითხველები, რომ მარქსის სადამცველი სიტყვებით, ანგარიშებით სასამართლოში გამოძახებათა და სასამართლო სხდომათა შესახებ, რომელებიც „ახალ რაინის გაზეთში“ გამოქვეყნდა, ეჩვენებინათ დემოკრატიული წესებისათვის ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის გზა.

წიგნი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ გახდა „ახალი რაინის გაზეთი“ მასების ორგანიზაციის ცენტრი. აქ, რედაქციის ოთახებში, იკრიბებოდნენ კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელები, აქ ეწყობოდა მარქსისა და ენგელსის თანამოაზრეთა ბევრი დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა და საუბარი, აქ იყრიდა თავს ანგარიშები ადგილობრივ ორგანიზაციებში არსებული მდგომარეობის შესახებ. აქედან მიდიოდა მითითებანი, თუ როგორ ეწარმოებინათ მუშაობა.

და მთავრობა ბოლოს და ბოლოს გაუსწორდა გაზეთს. წიგნი გვაცნობს მის უკანასკნელ, წითელი საღებავით დაბეჭდილ ნომერს. მარქსი იხსენებდა იქ მის მიერ სასამართლოში ნათქვამ სიტყვებს პრესის იმ ამოცანების შესახებ, რომ „ძირი გამოუთხარა არსებული წყობილებისათვის“ (ტ. 5, გვ. 247).

იგივე მიზანი დაუსახეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კომუნისტთა კავშირის ახალ ცენტრალურ ორგანოსაც — ეურნალს „ახალი რაინის გაზეთი, პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა“.

მრავალი ქვეყნის გაზეთებისათვის გაგზავნილ წერილებში ისინი იუწყებოდნენ: „მისი ერთ-ერთი ამოცანა ის იქნება, რომ მთელ რიგ რეაქციულ მიმოხილვებში დაახასიათოს ის პერიოდი, რომელიც გავიდა „Neue Rheinische Zeitung“-ის გამოსვლის ძალდატანებით შეწყვეტის დროიდან“ (ტ. 7, გვ. 1.).

მარქსსა და ენგელსს განზრახული ჰქონდათ გადაექცია ეურნალი ორგანად, რომელიც მოახდენდა „უფიქრ და ღრმა გაანალიზებას საზოგადოებრივ აზრზე“, და თუმცა ამ ეურნალის არსებობა ხანმოკლე იყო, მათ მოასწრეს მის ფურცლებზე გამოექვეყნებინათ თავიანთი მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომები.

მარქსისა და ენგელსის ეურნალისტური მოღვაწეობა მარტო იმ გამოცემებით როდი შემოიფარგლებოდა, რომლებიც მათ შექმნეს და რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ. წიგნიდან ვიგებთ, რომ ისინი ბეჭდავდნენ წერილებს გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის მუშათა გაზეთებში.

ალექსანდრე ბერმენოის გამოკვლევა გვაცნობს მარქსისა და ენგელსის უმდიერეს ეურნალისტურ გამოცდილებას, მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ გახდა ეურნალისტიკა საერთაშორისო პროლეტარიატის ხელადებისა და მასწავლებლების საბრძოლო იარაღი. (ასს).

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

КОММУНИСТ

№ 2 გვერდი, კვირა, 5 მაისი, 1968 წ.

კ. მარქსი და ნ. ნიკოლაძე.

მხატვარი ა. ვეფხვაძე.

მარქსი და საქართველო

ბდა მას „გამოჩენილ სწავლულს“. იგი სპეციალურად სწავლობდა „კაპიტალს“, აკეთებდა ამონაწერებს კ. მარქსის სხვა შრომებიდან და მოპყავდა მათგან ციტატები, რომლებსაც თვითონ თარგმნიდა ქართულ ენაზე.

კ. მარქსის იდეების გავლენით ქართველი ხალხისნების ერთი ნაწილი დარწმუნდა თავის შეხედულებათა უაზრობაში. ხალხისანი გ. ლასხიშვილი აღიარებს, რომ ციმბირში ყოფნისას მან განიცადა გ. პლეხანოვის წიგნის „ჩვენი უთანხმოებანის“ დიდი გავლენა, რომლის წაკითხვის შემდეგ კვლავ შეუდგა კ. მარქსის თხზულებათა კითხვას და საზოგადოდ პოლიტიკური ეკონომიის უფრო ბეჯითად შესწავლას. „ჩემთვის, — წერდა იგი, — ცხადი შეიქმნა, რომ რუსეთიც უნდა დამორჩილებულიყო იმ ევოლუციას, რომელსაც განიცდიდა დასავლეთ ევროპა ფეოდალური წესწყობილების დარღვევის შემდეგ, რომ იმანაც უნდა განვლოს კაპიტალისტური ხანა, სანამ მიაღწევდეს სამართლიან სოციალურ წესწყობილების სანეტარო ჟამს“.

ქართველი პუბლიცისტი და ხალხსანი გ. მაიაშვილი (გ. ზდანოვიჩი) გაეცნო კ. მარქსის ნაშრომებს და თავის სტატიებში ხშირად მოჰყავდა იქიდან სათანადო ამონაწერები. 1882 წელს მან ციმბირში დაწერა და გამოუგზავნა „ივერიის“ რედაქციას საინტერესო წერილი „ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეებს“, რომლითაც აცნობდა ქართველ მკითხველს კ. მარქსის სოციალურ-ეკონომიური მოძღვრების მნიშვნელობას. ეხებოდა რა საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურ მხარეს, ავტორს თავისი აზრის განსამტკიცებლად მოჰყავდა ციტატები კ. მარქსის ნაწარმოებიდან — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ და თვლიდა კ. მარქსს „ღრმა მოაზროვნედ“.

სტატიაში „პროტექციონიზმი და ვაჭრობის თავისუფლება“ გ. მაიაშვილი ეკამათება გ. იაკიმოვს და თავისი დებულების დასამტკიცებლად მიმართავს კ. მარქსს. იგი წერდა: „ვიმოწმებ იმ ადამიანს, რომელიც ეჭვის გარეშეა ბურჟუაზიის მიმდევრობას ვერ დავწამებთ, ამას ჩემი მოწინააღმდეგეც დამეთანხმება, ეს არის კარლ მარქსი, „კაპიტალის“ სახელგანთქმული ავტორი, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის დაუძინებელი მტერი...“

80-იანი წლების დასაწყისში გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნდა ე. მქელიძის (ბოსლეველის) სტატიები საერთო სათაურით „კრიტიკული მიმოხილვა“. აკრიტიკებდა რა ზოგიერთი ქართველი პუბლიცისტის სოციალურ-ეკონომიურ შეხედულებებს, ავტორი ეყრდნობოდა კ. მარქსს და მას საზოგადოებრივი მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენელს უწოდებდა. კერძოდ, ბოსლეველს მოჰყავდა ის ადგილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“, სადაც ლაპარაკია მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების აუცილებლობაზე.

მწერალი და პუბლიცისტი ა. ფურცელაძე თავის წერილებში ხშირად იხსენიებდა კ. მარქსის ნაშრომებს. განიხილავდა რა საქონლის საბაზრო ფასებს, მას მოჰყავდა ვრცელი ამონაწერები „კაპიტალიდან“. იგი უწოდებდა კ. მარქსს უდიდეს ეკონომისტს, რომელიც აკრიტიკებს კაპიტალისტურ წყობილებას.

ცნობილი ქართველი ლიტერატორი, პუბლიცისტი და მწიგნობარი ზ. ჭიჭინაძე დიდ მუშაობას ეწეოდა კ. მარქსის თხზულებათა პოპულარიზაციისათვის. „კაპიტალის“ მეორე ტომის რუსული თარგმანის გამო მან 1886 წელს გამოაქვეყნა რეცენზია, რომელშიც წერდა: „...მრავალთ ჩვენ ყმაწვილ კაცებს წაკითხული თუ არა გაგონილი მაინც ექნებათ გამოჩენილის და დიდად მეცოდნის პოლიტიკო-ეკონომიური მწერლის, ძლიერი კრიტიკოსის კარლ მარქსის სახელი... იგი არის წარმომადგენელი ახალი პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებათა რაციონალური სკოლისა, რომლის რეალურ ეკონომიურ მხარეებთან და აზროვნებასთან თითქმის მჭიდრო კავშირი აქვს ყოველნაირს მეცნიერულ აზროვნებას. მარქსის ძლიერი შრომის და ვინაობის ამბები დიდი ხანია, რაც ევროპაში გაისმის და თვით რუსულ ჟურნალებშიაც კი უწერიათ ამის შესახებ და უეჭველია, რომ ჯერ კიდევ ბევრსაც დასწერენ...“

შემდგომში ქართული პრესა არა მარტო პროპაგანდას უწევდა კ. მარქსის მოძღვრებას, არამედ მარქსიზმის ზოგიერთ საკითხზე ფართო დისკუსიებსაც მართავდა. მარქსისტული იდეები საქართველოში გზას იკაფავდა სხვადასხვა მცდარ შეხედულებებთან ბრძოლით.

კაპიტალიზმის განვითარებამ და მუშათა კლასის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის, ისტორიის სარბიელზე გამოსვლამ ნიადაგი გამოაცალა ხალხსნებს და უტოპიური სოციალიზმის მიმდევრებს. ამიტომ იყო, რომ რადიკალური ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი იძულებული იყო ედიარებინა კ. მარქსის რევოლუციური მოძღვრების მიმზიდველი ძალა. ხალხსანი ი. ჯაბადარი წერდა, რომ „კაპიტალი“ ეკუთვნის წარჩინებულს საქმეყენო მეცნიერს, რომელმაც თავისი ღიდად შესანიშნავი სამეცნიერო თხზულება, ვით ერთი კარგი ზორბა ყუთბარა, მარჯვედ ესროლა მთელის ქვეყნის მოქალაქის გაქვავებულს გულს და, თუმცა ნათლად დაგვანახა ის საზარელი და სამწუხარო მდგომარეობა, რომელსაც წარმოგვიდგენს ევროპის მდაბიო ხალხის ცხოვრება, მაგრამ სანუგეშოდ ისიც დაგვიმტკიცა, რომ თვით კაპიტალისტების წარმოებით მოქალაქეობას საფლავი ეთხრება და ადრე თუ მალე ბლოვის ზარიც უეჭველად დაერეკება. ამ შესანიშნავი სამეცნიერო შრომის აზრი ის გახლავთ, რომ ყოველის ერის უფლებას იმის პოლიტიკურ, სასულიერო და საზნეობო წესს და წყობილებას საფუძვლად და დასაბამად აქვს ქონებრივი ცხოვრების წესი და წარმოება...“

ქართველი რევოლუციური სოციალ-დემოკრატები მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი, ი. სტალინი, ა. ჯაფარიძე და მათი რუსი მეგობრები — ფ. აფანასიევი, ი. კოგანი, ი. ლუზინი, გ. ფრანჩესკი, ნ. კოზერენკო, ს. ალილუევი და სხვები, რომლებიც ამიერკავკასიაში იყვნენ გადმოსახლებულნი, დიდ მუშაობას ეწეოდნენ მარქსიზმის გასავრცელებლად საქართველოში. სულ უფრო ხშირად ქვეყნდებოდა კ. მარქსის, ფ. ენგელსის, გ. პლეხანოვის, პ. ლაფარგის ნაწარმოებთა ქართული თარგმანები.

1895 წლიდან მარქსისტულმა წრეებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა შრომების თარგმნისათვის. 1897 წელს ბათუმის სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრის ხელმძღვანელების, ცნობილი პროფესიონალი რევოლუციონერების გ. ფრანჩესკის, ი. ლუზინის და გ. სოლორაშვილის ინიციატივით პირველად ითარგმნა და არალეგალურად გავრცელდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველი თავი და ნაწყვეტები სხვა თავებიდან. თარგმანი შესრულა ფ. გოგიჩაიშვილმა, რომელიც დაახლოებული იყო ამ წრესთან.

1897 წლის ნოემბერში „კვალში“ გაგრძელებებით იბეჭდებოდა კორესპონდენციები საერთო სათაურით „მოგზაურის მენიშვნები“. წერილებში, რომლებსაც ხელს აწერდა ფ. პატრიშვილი, საერთაშორისო მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ იყო ფართო ამონაწერები „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“, რომლებიც ფაქტიურად მის პირველ თავს შეადგენდა. ამ კორესპონდენციების და „მანიფესტის“ ქართული თარგმანი გკუთვნოდა ფ. გოგიჩაიშვილს, რომელიც იმ დროს გერმანიაში ცხოვრობდა.

1905 წელს ჟურნალ „მოგზაურის“ ფურცლებზე გამოჩენილი მარქსისტის ფ. მახარაძის ინიციატივით გამოქვეყნდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველი, მეორე და მესამე თავების, აგრეთვე კ. მარქსის ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ ქართული თარგმანები. ჟურნალი აწვდიდა მკითხველებს მარქსისტული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას, აქვეყნებდა ცნობებს, რომ თბილისში მიღებულია კ. მარქსის „კაპიტალი“, ენგელსის „ანტიდიურინგი“, ვ. ლენინის „აგრარული საკითხი“ და სხვა ლიტერატურა.

ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო 1905 წლის აგვისტოში ქართულ ენაზე გამოქვეყნეული „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველი სრული თარგმანი, რომელიც გამოვიდა პარტიული გრიფით — „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“. ამ გამოცემამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში.

1905-1907 წლებში რსდმპ ბათუმის კომიტეტის ინიციატივით ზედიზედ არალეგალურად გამოქვეყნდა: მარქსის „ვაჭრობის თავისუფლება“, „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“, „ებრაელთა საკითხისათვის“. 1907 წელს თბილისში ქართულად დაიბეჭდა ფ. ენგელსის „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“ (კონსპირაციული მოსაზრების გამო იგი გამოვიდა სათაურით „საუბრები მეცნიერებაზე“) და ორი პარალელური თარგმანი ფ. ენგელსის ნაშრომისა „მონახაზები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების იდეათა მზნეებრივ პროპაგანდისტი იყო პროფესიონალი რევოლუციონერი და ბოლშევიკი ლენინელი ა. წულუკიძე. თავის სტატიებსა და წერილებში იგი იცავდა პროლეტარიატის რევოლუციური თეორიის სიწმინდეს. მან გამდიდრა მარქსისტული ლიტერატურა ისეთი საინტერესო ნაშრომებით, როგორიც არის „ოცნება და სინამდვილე“, „შეგნებული პროლეტარიატის ბრძოლა“, „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“. „ნაწყვეტებში პოლიტიკური ეკონომიიდან“ მან პოპულარული ფორმით გადმოგვცა მარქსის ეკონომიური მოძღვრება.

ამჟამად ქართველ მკითხველს აქვს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ყველა ძირითადი ნაწარმოები: მათი ქართული თარგმანი დედნიდან არის შესრულებული. თარგმანები განსორციელეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა ფ. გოგიჩაიშვილმა, დ. ონიაშვილმა, გ. ქიქოძემ, კ. გამსახურდიამ, გ. გამყრელიძემ, პ. ჭანიშვილმა, პ. იაშვილმა და სხვებმა.

1930-1940 წლებში ქართულ ენაზე გამოვიდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის 38 დასახელების ნაწარმოები. ამასთან ამავე პერიოდში სამჯერ გამოიცა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „ხელფასი, ფასი და მოგება“, „ფილოსოფიის სიღატაკე“, „გოთას პროგრამის კრიტიკა“ და სხვ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში განსორციელდა კონკრეტული ღონისძიებანი კ. მარქსის რევოლუციური მოძღვრების ფართო პროპაგანდისათვის, მისი უკვდავი ნაშრომების ქართულად თარგმნისა და გავრცელებისათვის.

ვ. მერკვილაძე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნიზმის ჩირაღდნები“
ქანდაკება ე. ბელოსტოცკისა და ი. ფრიდმანისა.
კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმი მოსკოვში.

„აღსარება“

კარლ მარქსის სამივე ქალიშვილი — ჟენი, ლაურა და ელეონორა ეკუთვნიან სოციალისტების შესანიშნავ რაზმს.

ჟენი, ლაურა და ელეონორა მუშათა კლასის საქმისათვის ჭეშმარიტი მებრძოლები იყვნენ, მარქსისა და ენგელსის ერთგული და თავდადებული ამხანაგები.

ეს „აღსარება“ მიეკუთვნება 1865 წელს. იგი არის მარქსის პასუხები მისი ქალიშვილების მიერ დასმულ შეკითხვებზე, რაც მაშინ ფართოდ იყო გავრცელებული გერმანიასა და ინგლისში. თუმცა პასუხები შედგენილია ერთგვარი იუმორის ფორმით, ისინი მეტად საინტერესონი არიან გენიალური მარქსის როგორც ადამიანის დახასიათებისათვის.

1. ღირსება, რომელსაც თქვენ ყველაზე მეტად აფასებთ ადამიანებში — **უბრალოება.**
2. კაცებში — **ძალა.**
3. ქალებში — **სისუსტე.**
4. თქვენი დამახასიათებელი თვისება — **მიზნის ერთიანობა.**
5. თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე — **ბრძოლა.**
6. თქვენი წარმოდგენა უბედურებაზე — **მორჩილება.**
7. ნაკლოვანება, რომლის პატიებაც შეგიძლიათ — **გულუბრყვილობა.**
8. ნაკლოვანება, რომელიც ყველაზე მეტად ზიზღს გგვრით — **მლიქვნელობა.**
9. თქვენი ანტიპათია — **მარტინ ტაპერი.**
10. თქვენი საყვარელი საქმიანობა — **წიგნებში ძიება.**
11. თქვენი საყვარელი პოეტები — **შექსპირი, ესქილე, გოეთე.**
12. თქვენი საყვარელი პროზაიკოსი — **დიდრო.**
13. თქვენი საყვარელი გმირები — **სპარტაკი, კეპლერი.**
14. თქვენი საყვარელი გმირი ქალი — **გრეტხენი.**
15. თქვენი საყვარელი ყვავილი — **დაფნა.**
16. თქვენი საყვარელი ფერი — **წითელი.**
17. თქვენი საყვარელი სახელი — **ლაურა, ჟენი.**
18. თქვენი საყვარელი საქმელი — **თევზი.**
19. თქვენი საყვარელი გამოთქმა — **ყოველგვარი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის.**
20. თქვენი საყვარელი დევიზი — **ყველაფერი ეეჭვეულ დაეყენე.**

უმაღლესი ორდენი

კარლ მარქსის ორდენი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უმაღლესი ჯილდოა. დაწესებულ იქნა 1953 წელს მარქსის გარდაცვალების 70 წლისთავზე. მთავრობის ამ მაღალი ჯილდოთი პირველად დააჯილდოეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი და ხელმძღვანელი ვილჰელმ პიკი.



დიადი მემკვიდრეობა

ციფრების ენით

△ **საკავშირო** წიგნის პალატის 1968 წლის 1 იანვრის მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში კ. მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებები გამოიცა 2.394-ჯერ 85 მილიონ 428 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. რუსულ ენაზე გამოიცა 940 წიგნი, სსრ კავშირის ხალხთა 47 ენაზე — 999 წიგნი, საზღვარგარეთის 29 ენაზე — 455 წიგნი.

△ **პირველად** რკპ (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებით დაიწყო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა რუსულ ენაზე გამოცემა. 1928 წლიდან 1946 წლამდე გამოვიდა 29 ტომი (34 წიგნი).

△ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1955 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი შეუდგა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა სრული კრებული ზეორე გამოცემას. დღემდე გამოსულია 39 ტომი. ამას დაემატება კიდევ 11 ტომი. ამ გამოცემის ტირაჟი 130 ათასი ეგზემპლარი.

△ „**კომუნისტური** პარტიის მანიფესტი“ ჩვენს ქვეყანაში გამოიცა 398-ჯერ 17 მილიონ 561 ათასი ცალი ტირაჟით. მათ შორის რუსულ ენაზე — 119 წიგნი 14 მილიონ 287 ათასი, სსრ კავშირის ხალხთა ენაზე 214 წიგნი 2 მილიონ 182 ათასი ცალი ტირაჟით.

△ „**კაპიტალი**“ პირველად გამოიცა რუსულ ენაზე 1872 წელს სამათხოვანი ტირაჟით. მისი მთარგმნელები იყვნენ გ. ლოპატინი და ნ. დანიელსონი. 1907-1909 წლებში „კაპიტალი“ მეორედ თარგმნა ი. სკვორცოვ-სტეპანოვმა. ეს თარგმანი საფუძვლად უდევს ყველა შემდგომ გამოცემას.

„ბაბილონი“

ბაბილონი — ეს ეგვიპტური ფარაონების ქალაქი, ეს ბაბილონი, ეს ბაბილონი, ეს ბაბილონ

ახალი მარქსისტული გაზეთი

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსვლას იწყებს ახალი ყოველდღიური მარქსისტული გაზეთი „დეილი უორლდი". ამერიკაში კომუნისტური და პროგრესული მოძრაობისათვის ეს უდიდესი მოვლენაა.

„დეილი უორლდი" გამოსვლას იწყებს ჩვენი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ მეტად კრიტიკულ პერიოდში. ამერიკელები სამოქალაქო ომის შემდეგ არასოდეს არ მდგარან ისეთი სერიოზული გამოცდის წინაშე, არასოდეს არ ჰქონიათ ისეთი ეჭვი სინამდვილისადმი და უიმედობა მომავლისადმი, როგორიც ახლა. ფაქტიურად ამერიკის საზოგადოება ღრმა მორალური კრიზისის მდგომარეობაშია.

ანტისამამრ მოძრაობაში ჩაბმული არიან ადამიანები, რომლებიც სულ სხვადასხვა სოციალურ ფენებს წარმოადგენენ. ეს ბრძოლა ახალი ფორმებით მდიდრდება და სულ უფრო აქტიურ ხასიათს იღებს. და მას ვერავითარი რეპრესიები ვერ შეაჩერებენ.

კრიზისი, რომელმაც ამერიკის საზოგადოება მოიცვა, თავის გამოხატულებას პოულობს „ღარიბთა აჯანყებებში". ეს არის ზანგი მოსახლეობის პროტესტი სიღატაკისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რამაც 20 მილიონზე მეტი ადამიანი „მეორეხარისხოვან" მოქალაქეებად აქცია.

საერთო ეროვნული კრიზისი, რომლის პირობებშიც ამერიკელები ცხოვრობენ, იმის შედეგია, რომ ჯონსონის ადმინისტრაციას არ ძალუძს გადაჭრას პრობლემები, რომლებითაც დაავადებულია ქვეყანა.

ჩვენი ქვეყნის მდინარეებისა და ტბების წყლები მოწამლულია. ჰაერის დამტვერიანება ჩვენს ქალაქებში იმდენად მაღალია, რომ ხშირად სუნთქვაც კი საშიშია.

ამერიკის ქალაქების ქუჩებში როგორც კი ჩამობნელდება, მცხოვრებლებისათვის გავლა საშიში ხდება. დამნაშავეობის ტემპების ზრდა ბევრად აღემატება მოსახლეობის ზრდას.

ამერიკელმა ჰაბუკებმა და ქალიშვილებმა დაკარგეს იდეალებისადმი რწმენა და მტრულად არიან განწყობილი საზოგადოების მიმართ.

შეერთებულ შტატებში არასოდეს არ ყოფილა ასე დიდი დაშორება სიმდიდრესა და სიღატაკეს შორის, როგორც ახლა.

ადამიანები რწმუნდებიან, რომ ჯონსონის ადმინისტრაციას შეუძლია მხოლოდ მიიღოს კანონპროექტები, მაგრამ არა სურს მათი განხორციელება, ეს კიდევ უფრო აღრმავებს მათს უნდობლობას მთავრობისადმი.

ახალი მარქსისტული გაზეთი შეძლებს ამ არსებული ვაკუუმის შევსებას. „დეილი უორლდი" იქნება ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობის ერთადერთი ყოველდღიური ტრიბუნა.

მრავალი წლის განმავლობაში ბურჟუაზიულ პრესას სრული მონოპოლია ჰქონდა ყოველდღიური ინფორმაციის გამოქვეყნებასა და ინტერპრეტაციაზე, რასაც იგი იყენებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და საზღვარგარეთ არსებული სინამდვილის დასამახინჯებლად. „დეილი უორლდი" მარქსისტულ შეფასებას მისცემს მოვლენებს და ხელს შეუწყობს ქვეყანაში სხვადასხვა დემოკრატიულ მიმდინარეობათა ურთიერთმოქმედებას.

„დეილი უორლდის" პირველი ნომერი გამოდის იმ პერიოდში, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატის წამოყენების კამპანია აქტიურდება. გაზეთი, უეჭველია, დაეხმარება ახალგაზრდა მთავრობის კურსისადმი ოპოზიციურად განწყობილ იმ ძალთა გაერთიანებას, რომლებიც გამოდიან „სიუჟეის" ქვეყანაში ომის, რასიზმის, სიღატაკისა და უუფლებობის წინააღმდეგ.

გარი იარისი,
ამერიკელი ჟურნალისტი.

კარლ მარქსის დღეები უცხოეთში

კარლ მარქსის იდეების ტრიუმფი

ბერლინი, 5 მაისი. საკავშირო კორესპონდენტები ფ. ნიკიტოჩკინი და ვ. გორდეევი გვატყობინებენ:

„ყველა ქვეყნის კომუნისტებს აერთიანებთ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, სამყაროს გარდამქმნელი მოძღვრება და საერთო ბრძოლა მისი იდეების ტრიუმფისათვის". ასეთი დევიზით გაიხსნა გუშინ ბერლინში კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო სესია.

□ □

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიული, სახელმწიფო და მეცნიერი მუშაკები.

სესიაზე ჩამოვიდნენ 55 კომუნისტური და მუშათა პარტიის, სოციალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების დელეგაციები. მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ა. ი. პელშეს მეთაურობით.

სესია გახსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ჰაგერმა, რომელიც გულთბილად მიესალმა უცხოელ სტუმრებს.

ძირითადი მოხსენება „კარლ მარქსის მოძღვრების მნიშვნელობა და სასიცოცხლო ძალა ჩვენი დროისათვის" გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა. მთელ მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა მოძრაობა, მთელი პროგრესული კაცობრიობა, თქვა მან, აღნიშნავენ კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავს, რომლის მოძღვრება მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის მძლავრი იარაღია. კარლ მარქსის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ის არის, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, რომ მან მეცნიერული სოციალიზმი დაუკავშირა მუშათა მოძრაობას.

ვ. ულბრიხტმა აღნიშნა კარლ მარქსის, როგორც მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის, მსოფლიო-ისტორიული დამსახურება და მისი საქმის გენიალური განმგრძობის ვ. ი. ლენინის მსოფლიო ისტორიული დამსახურება. მან აღნიშნა, თუ რა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელიც მოხდა ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით. ძლევამოსილმა ოქტომბერმა, განაცხადა ვ. ულბრიხტმა, პირველმა გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემა, მთელ მსოფლიოს გაუხსნა სოციალისტური განვითარების გზა, დაიწყო კაცობრიობის განვითარების ახალი ეპოქა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა მომძმე სოციალისტური ქვეყნების ისტორიული მონაპოვრები ახალი ცხოვრების მშენებლობაში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებაა. ვ. ულბრიხტმა ხაზი გაუსვა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების აქტუალობასა და მძლავრ სასიცოცხლო ძალას ჩვენს დროს, ვიდაიდან ისინი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელთა სწორი კომპასი, კაპიტალისტური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი იარაღია.

საერთაშორისო ცხოვრება

კოლექტიური გადადგომა

კაირო, 4 მაისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალური სამდივნოს წევრებმა პრეზიდენტ ნასერს გადასცეს განცხადება გადადგომის შესახებ, წერს გაზეთი „ახბარ ელ-იუმი".

ეს მოსალოდნელი კოლექტიური გადადგომა მოუყვა „30 მარტის პროგრამის" გამო საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნებას. პროგრამა ითვალისწინებს არაბთა სოციალისტური კავშირისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების ძირეულ რეორგანიზაციას.

საიდუმლო თათბირი ბონის მახლობლად

ბონი, 4 მაისი. (საკდესი). ჰაიმერცკაიმის ციხე-დარბაზი, რომელიც 20 კილომეტრზე მდებარეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქიდან, გახდა ადგილი საიდუმლო თათბირისა, რომელზეც შეიკრიბა ბონის მთელი მმართველი ზედაფენა კანცლერ კიზინგერის მეთაურობით.

ეს თათბირი, რომელშიც მთავრობის წევრებთან ერთად მონაწილეობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ექსპერტები და ელჩები უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში, მკაცრი საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობს. გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა უარი თქვა ეცნობებინა რაიმე თათბირის მიმდინარეობის შესახებ. ოფიციალურად გამოაცხადეს მხოლოდ, რომ თათბირი ეძღვნება „ფართო საგარეოპოლიტიკურ პრობლემებს". მაგრამ პრესაში მაინც ქვეყნდება ცნობები, რომლებიც ფარდას ხდიან ამას, რასაც ბონის ხელმძღვანელები იხილავენ ფარულად შუა საუკუნეების ციხე-დარბაზში.

თათბირის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა, — წერს გაზეთი „რაინიშე პოსტი", — **ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, რომელსაც ახლა იხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.**

ჰაიმერცკაიმის ციხე-დარბაზში თავს იმტკიცებენ იმაზე, თუ როგორ დაატორპედონ ეს ხელშეკრულება ან უეფექტო მაინც გახდონ იგი. ამასთან ბონი ცდილობს მიჩქმალოს ხელშეკრულების მოწინააღმდეგის საძრახისი როლი. დასავლეთ გერმანიის ატომური მრეწველობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, აღნიშნავს გაზეთი „დი ველტი", საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ბონი „აწარმოებდეს დაფინებულ მოლაპარაკებას", რომლის მიზანი იქნება „აღმოფხვრას დისკრიმინაციის ყველა მომენტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში". როგორც ცნობილია, ბონელი მეატომეები ილაშქრებენ დასავლეთ გერმანიის ატომური მრეწველობისადმი საერთაშორისო კონტროლის წინააღმდეგ (საკდესის კორ.).

მოლოთოვი მოლაპარაკების დაწყებას

ჯენევა, 4 მაისი. (საკდესი). აქ გამოაქვეყნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს 3 მაისის განცხადება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური მოლაპარაკების დონის, ადგილისა და დროის საკითხებზე. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, ხაზგასმულია განცხადებაში, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს ოფიციალური მოლაპარაკება ჰანოისა და ვაშინგტონს შორის. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა მინისტრი სუან თხიუ დანიშნოს თავის წარმომადგენლად შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელთან ოფიციალური მოლაპარაკებისათვის, რათა ამერიკის მხარესთან ერთად განიხილოს ის საკითხი, რომ შეერთებულმა შტატებმა ყოველგვარი პირობის დაუთქმელად შეწყვიტოს დაბომბვა და ყველა სხვა საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ამის შემდეგ განიხილონ ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხები,

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მესალმება საფრანგეთის მთავრობის წინადადებას, რომ პარიზში გაიმართოს მოლაპარაკება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრით, პარიზი, ისევე როგორც პნომპენი და ვარშავა, შესაფერისი ადგილია ორი მხარის ოფიციალური მოლაპარაკებისათვის. ეს ოფიციალური მოლაპარაკება შეიძლება დაიწყოს 1968 წლის 10 მაისს ან რამდენადმე გვიან.

◆

გულის გადანერგვის ოპერაცია

ლონდონი, 4 მაისი. (საკდესი). გუშინ ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში წარმატებით ჩაიარა ინგლისში პირველი გულის გადანერგვის ოპერაციამ.

პირველი ინგლისელი და მსოფლიოში მეათე კაცი, რომელსაც ასეთი ოპერაცია გაუკეთეს, გახლდათ 45 წლის მამაკაცი, რომელსაც გადაუნერგეს უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპული 26 წლის მშენებლის გული.

როგორც ექიმები ამბობენ, ოპერაციამ შვიდნახევარ საათზე მეტ ხანს გასტანა. ავადმყოფის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მოვიდა გაზეთის ახალი ნომერი... ფოტოეტიუდი ს. კილაძისა.

ჟურნალისტთა პრემიების ლაურეატები

მოსკოვის ჟურნალისტთა ორგანიზაციამ შეაჯამა პრესის დღის აღსანიშნავი ტრადიციული შემოქმედებითი კონკურსების შედეგები.

საერთაშორისო ჟურნალისტიკა დარგში საუკეთესო მუშაობისათვის **ბ. ბორისოვის** მიენიჭა „იზვესტიის" სარედაქციო სერიისათვის, რომლებიც ამხილებენ ამერიკელი ცხოვრების წესსა და ეამინგტონის პოლიტიკას.

მ. კოლცოვის სახელობის პრემია მიენიჭა საუკეთესო რეპორტაჟებისა და ინტერვიუებისათვის კონკურსის გამარჯვებულს „პრავდის" სპეციალურ კორესპონდენტს **პ. ბარაშევს** — რეპორტაჟებისათვის „კოსმოსურ გემთსაშენში", „უფსკრულში", „მემკვიდე ვედი".

პრემიები „წლის საუკეთესო რეპორტიორი" მიენიჭა **ტ. აგაფონოვას** („კომსომოლსკაია პრავდა") და **ო. კუპრინს** („ოგონიოკი").

რეპორტიორთა კონკურსის დიპლომებით დაჯილდოვდნენ **ი. დმიტრიევი** („ტრუდი"), **ა. ხორობროვი** („ავიაციანი კოსმონავტიკა"), **ა. შლიენკოვი** („ნედელია").

სპეციალური დიპლომი მიენიჭა გაზეთ „იზვესტიის" ინფორმაციის განყოფილებას წიგნის „რეპორტაჟი ადგილიდან" მომზადებისა და გამოშვებისათვის.

საუკეთესო ნარკვევისათვის კონკურსის პირველი პრემია მიენიჭა **ა. სტარკოვს** („ოგონიოკი") ნარკვევისათვის „ცოცხალი აღმოვჩნდი...".

მეორე პრემიები მიენიჭათ **ი. აპენჩენკოს** („პრავდა") და გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" ავტორთა კოლექტივს **ი. გრიბოვს, ა. ლაზებნიკოვს, ო. ოპარინს.**

მესამე პრემიებით დაჯილდოვდნენ **ლ. კუზნეცოვი** („ტრუდი") და **ა. ხარიტონოვა** („სელსკაია ჟიზნი").

ნარკვევების მფერალთა კონკურსის დიპლომი მიენიჭა **ე. მიკულინას** წიგნისათვის „ეეძებ ჩემს თავს".

მეცნიერული ჟურნალისტიკის დარგში საუკეთესო მუშაობისათვის **პირველი პრემია** მიენიჭა **გ. ბლოკს** (ასა) — სტატიების ციკლისათვის ციმბირის განვითარების შესახებ.

მეორე პრემია მიენიჭა **ა. ვარშავსკის** („ზნანიე-სილა"), **მ. ლომეიკოს** — **ი. ბერეზნოის** („სოვეტსკაია როსია"), **სპეციალური დიპლომებით** დაჯილდოვდნენ **ი. ალპეროვიჩი** („მოსკოვსკი კომსომოლეცი"), **გ. ზელენკო** („ზნანიე-სილა"), **მ. რეგროვი** („კრასნაია ზვეზდა").

ფელეტონისტთა კონკურსზე მეორე პრემიები მიენიჭათ **ა. სუკონცევს** („პრავდა") და **ა. ალექსეევს** („ლიტერატურნაია გაზეტა"). **მესამე პრემიები** მიენიჭათ **ვ. მიტინს** („კროკოდილი") და **ი. ცუგულიევს** („კროკოდილი").

მატჩი გუდაპეშტში

გუშინ ბუდაპეშტი ეშმარიტად დიდი ფეხბურთის მოწმე იყო. აქ გაიმართა პირველი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის პირველობაზე სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

ბრძოლა თავიდანვე ტემპიანი და შეუპოვარი იყო. უნგრელები უფრო ხშირად იმყოფებოდნენ საბჭოთა ნაკრების საჯარიმო მოედნზე და აი 22-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიმართულება შეუცვალა ფარკაშმა და კავაზაშვილის ნახტომი უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა — 1:0. ეს ანგარიში ტაიმის ბოლომდე უცვლელი დარჩა.

მეორე ნახევარში საბჭოთა ნაკრები უფრო ორგანიზებულად მოქმედებდა, მაგრამ სტრელცოვი და ბანიშევსკი ხშირად სცოდავდნენ. თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე უნგრელთა ერთ-ერთ კომბინაციას მეორე გოლი მოჰყვა. ეს ბურთი გაიტანა **გიორგაძემ.**

გაიმარჯვეს უნგრელებმა. ანგარიშით 2:0. ამ გუნდების მეორე მეოთხედფინალური მატჩი შედგება 11 მაისს მოსკოვში.

გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ:

სსრ კავშირის ნაკრები — **კავაზაშვილი, შესტერნიოვი, ისტომინი, კაპლიჩნი, ხურცილავა, ანიჩკინი, ვორონინი, მალოფეევი, ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი.**

უნგრეთის ნაკრები — **ფატერი, ნოვაკი, შოიმოში, იბასი, სიუჩი, მესეი, ფაზეკაში, გიორეჩი, ვარგა, ფარკაში, რაკოში.**

„ბ" კლასის ზონებში

გაიმართა „ბ" კლასის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში მესამე და მეოთხე ზონაში. აი მათი შედეგები ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით:

მესამე ზონა — „არეზი" (ნახჩევანი) — „დილა (ბორი) 0:3.

მეოთხე ზონა — „მაღაროელი" (ციათურა) — „ლერნაგორცი" (ჯაფანი) 2:1, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 0:0, „სპარტაკი" (ქისლოვოდსკი) — „მერცხალი" (მახაჩაძე) 0:0, „ეროფეი" (ერიმსკი) — „შექერა" (ქობულეთი) 0:0, „დინამო" (სოხუმი) — „ეროფეი" (ბორზნო) 2:2, „ენგური" (ზუგდიდი) — „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) 0:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „ორისტონი" (მოზდოკი) 2:0.

სპორტული ქრონიკა

◆ **რიგაში** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი კალათბურთში ვაკთა გუნდებისათვის, თამაშობდნენ ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბისა და კუნასის „ჟალგირისის" გუნდები. გაიმარჯვეს რიგელებმა 67:65 (37:33).

◆ **თბილისის** ცენტრალურ კორტებზე მიმდინარეობს სსრ კავშირისა და საბერძნეთის ჩოგბურთელთა გუნდების შეჯიბრება დევისის თასზე. პირველ დღეს თ. ლეიფსი დამარცხდა **ნ. კალოგეროპოლუსთან** შეხვედრაში 10:8, 4:6, 4:6, 1:6.

კვლავ წარუმატებლობა

გუშინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ერთი მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დინამოკიევის „ლოკომოტივისა" და ქუთაისის „ტორპედოს" კოლექტივები. გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 5:2.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

მაისის პირველ რიცხვებში გაიმართა არაერთი საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ბელგიის ნაკრებ გუნდებს შორის.

პარიზში ოლიმპიური შეარჩევი შეხვედრა ჰქონდათ საფრანგეთისა და ავსტრიის გუნდებს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 3:1.

ლიონში შედგა საერთაშორისო მატჩი ავსტრიისა და რუმინეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

ლუქსემბურგში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში ბელგიისა და ლუქსემბურგის ნაკრებ გუნდებს შორის. ერთადერთმა გოლმა გამარჯვება ბელგიელებს მოუტანა.

კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავის დღესასწაულზე მოსკოვში ჩამოსულმა მისმა შვილიშვილის შვილებმა ფრედერიკ, რობერ, კარლ და პოლ ლონგეებმა ინახულეს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმი. სურათზე (მარჯვნიდან მარცხნივ): პოლ, კარლ, ფრედერიკ და რობერ ლონგეები მუზეუმის შენობასთან.

ფოტო **ვ. მასტუკოვისა** (საკდესის ფოტოკრონიკა).

ძვირფასი რელიკვიები

მოსკოვში, კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მუზეუმში სათუთად არის დაცული პროლეტარიატის გენიალური ბელადის პირადი ნივთები.

ვბეჭდავთ ზოგიერთი მათგანის სურათებს. აი კარლ მარქსის ჩაის სერვიზი, მისი საფულე, მუნდშტუკი და ეს სავარძლები კ. მარქსს ეკუთვნოდა. ერთ-ერთი მათგანი სამუშაო სავარძელია, მეორე — მარქსის უკანასკნელი დასვენების უტყვი მოწმე — ამ სავარძელში საუკუნოდ მიიძინა მან 1883 წლის 14 მარტს.

არანაკლებ საინტერესოა ეს ორი მოწმობაც. მარცხნივ თქვენ ხედავთ „მიწისა და შრომის ლიგის" კარლ მარქსის საწევრო ბილეთს. ეს ლიგა დაარსდა 1869 წელს ლონდონში I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მონაწილეობით. ამ ორგანიზაციის პროგრამა კარლ მარქსის მითითებათა შესაბამისად იქნა შედგენილი. მეორე — კარლ მარქსის პასპორტია, რომელიც დათარიღებულია 1861 წლით.

უწყვეტ ნაკადად მოდიან ექსკურსანტები მუზეუმში. ისინი ერთხელ კიდევ ათვალიერებენ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა ძვირფას რელიკვიებს, რომლებიც ნათლად ასახავენ გენიალურ მოაზროვნეთა ცხოვრებასა და შემოქმედებას.





ტელევიზია

5 მაისი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასაზმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 12.00 — მუსიკალური ფილმი „ქართული მელოდიები", 12.00 — „ოპერაცია „სირიუს-2" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 17.50 — გადაცემათა პროგრამა, 17.55 — კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. შესვენების დროს საერთაშორისო პროგრამა „შვიდი დღე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.30 — ახალი ქართული სატელევიზიო ფილმების კვირეული — დოკუმენტური ფილმი „დავით კაკაბაძე" (პრემიერა), 21.50 — მხატვრული ფილმი.

6 მაისი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კარლ მარქსი", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ", 2. „ცეროდენას ეკრანი", 19.00 — გადაცემა ციკლიდან „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები" პარმენ ბუხაიძე, 19.30 — გადაცემა — მარქსი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია", 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — დ. პრისტლი — „დოქტორი სოლტი მიემგზავრება" — სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა — ნაწილი პირველი (გადმოცემა ლენინგრადიდან), 21.00 — გადაცემა სამეცნიერო თემაზე „თერაპიის ინსტიტუტში", 21.40 — კინონარკვევი, 21.50 — „მოამბე". — საინფორმაციო პროგრამა, 22.15 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.20 — ქართული მხატვრული ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი".

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დასაწყისი 11 ს., 14 ს. და 18 ს., 00 ს. და 15 წ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ოპერა-ბალეტი

5 მაისი

გრიბოედოვის სახელობის — ეარშაეული მელოდია, **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სალხინობელი, **ფილარმონიის საზაფხულო** — პოლონეთის ესტრადის მსახიობთა კონცერტი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ციხე-სიმაგრის საიდუმლო, (აბონ. № 7 დილის 10 ს., აბონ. № 18 საღ. 6 ს.),

2 კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის 14.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 03227 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.